№ 71
კვირა, 13 აპრილი 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 71
კვირა, 13 აპრილი 1897 წ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ:

| თე | მან. | კ. | თვ | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომე —ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲒᲐᲠᲔᲒᲚᲐᲓ
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ" ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ" ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

## ქ რ ი ს ტ ე  ა ღ ს დ გ ა!

შემდეგი ნომერი გაზეთისა, დღესასწაულებისა გამო, გამოვა ხუთშაბათს, 17 აპრილს.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულება დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულ მკერდისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. $6^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ)

## ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

—

დანიშნულ იქმნა: მე-44 ნიჟეგოროდის დრაგუნთა რაზმის კორნეტი თავადი ლეონიდე ერისთავი – ს.-პეტერბურგის ბრიგადაში, შტატს გარეშედ და უჯამაგიროდ.

გადაყვანილ იქმნენ: მე-45 დრაგუნთა სევერსკის რაზმის შტაბს-როტმისტრი მაყაშვილი—კავალერიისა და ბრიგადის რემონტის ინსპექტორის სამართველოში; მე-150 ტამანის რაზმის პოდპორუჩიკი ანჩაბაძე—ყუბანის მე-5 პლასტუნთა ბატალიონში ხორუნჟად.

ებრძათ სამსახურის წელთა შესრულებისა გამო უფროსობით ხოვოროსიისკის კარანტინ-დამოჟნის კანტორის მმართველს, კოლეჟსკი ასესორს ღლონტს—ნადვორნი სოვეტნიკობა.

უფროსს შტატის კონტროლიორს მესამე ოლქისას კოლეჟსკი რეგისტრატორს კონტრიძეს—გუბერნსკი სეკრეტრობა და უმცროს მეორე ოლქისას ქიქოძეს—კოლეჟსკი რეგისტრატორობა.

დათხოვნილ იქმნენ: ქუთაისის თავად-აზნაურობის დეპუტატთა კრებულის დეპუტატი თავადი პეტრე გიორგის ძე წულუკიძე, თავისისავე თხოვნით, ავადმყოფობისა გამო, ამა თანამდებობიდგან და სრულიად სამსახურიდგან.

ყაზახის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონი სოლომონ ლაფერაშვილი.

განწესებულ იქმნენ: აქსენტი ტყემალაძე—დერბენტის საქალაქო პოლიციის მეორე ხარისხის საკანცელარიო მოხელედ.

ილარიონ ტედეშვილი—ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მცირე ჯამაგირიან მოხელედ.

## ახალი ამბავი

—

*** „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამარცელებელ საზოგადოების" გამგეობამ ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს მიჰმართა, ნება დაგვრთეთ, ხსენებულ საზოგადოების ღონისძიებათა გასაძლიერებლად ტფილისში სიირნობა და ლატარია-ალეგრი გავმართოთ, რომლისათვის 1,500 მან. ბილეთები იქმნება დამზადებულიო.

*** გაზ. „ჩერ. ვეს."-ს სიტყვით, ბათუმში ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი ა. ი. სტოიანოვი უნდა ჩავიდეს, რომელსაც კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან დავალებული აქვს, ბათუმის მომავალი გიმნაზიის შენობა დაათვალიეროს. გაზეთს გაუგონია, რომ ბ-ნი სტოიანოვი ბათუმის გიმნაზიის დირექტორად იქმნება დანიშნულიო.

*** იმავე გაზეთის სიტყვით, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ბ-ნი იანოვსკი აღდგომის კვირის გასულს ბათუმში მიბრძანდება.

*** როგორც გუბერნიის სამართველოს სამკურნალო განყოფილების ცნობებიდგანა სჩანს, 1—8 აპრილამდე ტფილისში წითელათი ავად გამხდარა 20 კაცი, ქუნთრუშით 2 და შავის სახადით 2.

*** გაზ. „Нов. Вр."-ს სიტყვით, შუამდგომლობაა აღძრული იმის შესახებ, რომ კავკასიის პირველ დაწყებით სასწავლებლების შესანახად სახელმწიფო ხაზინიდგან უფრო მეტი ფული იქმნეს გადადებული.

*** იმავე გაზეთის სიტყვით, ბაქოს ნავთის მწარმოებელთა კრებას, რომელიც ამ ახლო ხანში უნდა მოხდეს ბაქოში, გზათა სამინისტროს წარმომადგენლად კავკასიის რკინის გზის უფროსი ინჟინერი ე. ლ. ვედენეევი დაუნიშნავთ.

*** ტფილისის სამხედრო სატუსაღოს განყოფილებიდგან, რომელიც ნიკოლოოზის ქუჩაზეა, 9 აპრილს, ღამით, სამი ტუსაღი გაიქცა, რომელთაგან ერთს კატორღაში გაგზავნა ჰქონდა გარდაწყვეტილი და დანარჩენნი ორიც სხვა საქმეთა გამო იყვნენ პასუხის-გებაში მიცემულნი. ტუსაღებს ფანჯრის ბადე გაუგლეჯიათ და იქიდგან გადამხტარან ქუჩაში. დარაჯთ იმათი გაქცევა ვერ გაუგიათ. ისინი სამივენი ჯარის-კაცნი არიან, ერთი ქართველი და ორი სომეხი. ერთი სომეხი უკვე შეიპყრა პოლიციის მოხელემ, ხოლო დანარჩენს ორს უკვე დაეძებენ.

*** კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს გარდაუწყვეტია, რომ გაზ. „კავკაზ. სელ. ხოზიასტვოს" რედაქტორობა ამავე გაზეთის ეხლანდელს რედაქტორს ა. ა. ქალანთარს მიანდოს და ამისათვის, საზოგადო კრების დადგენილებისა თანხმად, გაზეთის საწარმოებლად წლიურად 2600 მან. დაენიშნება და ამასთან ის ფულებიც, რომელიც გაზეთის ხელის მომწერთაგან და განცხადებების დაბეჭდვისა შემოვა.

*** როგორც გაზ. „ჩერ. ვეს." გვაუწყებს, თავადს დიმიტრი მაჭუტაძეს და ტ. ჩაჩავას ოჩემჩირეს მახლობლად (სამურზაყანოში) სახერხავი ქარხანა უკვე გაუმართავთ და 1 აპრილს კიდევაც უკურთხებინებიათ. ქარხანაში ყოველ დღე ... კაცამდე მუშაობს. ქარხნის პატრონები თავიანთ ნაწარმოებს ბათუმსა და ტფილისში გაჰგზავნიან. ბათუმში ორს ადგილას დაუქირავებიათ საქალაქო მიწა ხე-ტყის დასაწყობად. ქარხანაში წაბლის ხის ნიმუში მზადდება, რომელსაც ამ მოკლე ხანში

# ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

—

### ᲜᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘ

—

ნურაი გიკვირთ ბრიყვთაგან:
ავი კეთილის მტერია;
ავ-ბრიყვთა ღმერთიც ვერ იცნეს,
ჯვარს აცვეს ქვეყნის მხსნელია;
დაჰგმეს, განკიცხეს უფალი,
ძე ღვთისა საყვარელია...
„ნეტარ იყვნენო დევნილნი",
გახსოვდეთ ამის მთქმელია!

დ. მაჩხანელი

### „ᲥᲠᲘᲡᲢᲔ ᲐᲦᲡᲓᲒᲐ, ᲨᲕᲘᲚᲝ!"

I

წითელ პარასკევის საღამო იყო. ზერელაანთ ქვრივი სიდო კვერცხებით სავსე კალათას მოსჯდომოდა გვერდზედ და არჩევდა—რომელი საწიწილოდ გამოდგებოდა და რომელი შესაღებად. სიდოს თავისი ათის წლის ქალი მარა ამოჰკვროდა გვერდში და სიხარულით არჩევდა უფრო მაგარს კვერცხებს.

— აი დედილო, ეს ჩემი კვერცხებია! ეს პატარა კვერცხი ციცირის კვერცხს არ ჩამოუვარდება სიმაგრით და აბა უყურე რამდენს კვერცხებს დავამტვრევ აღდგომას!.. ეს სულ კირკიტი კვერცხებია და გენაცვა, დედი, არ დაამტვრიო!..

— სულ შენი არ არის, გენაცვალოს დედაი, შვილო! ამ შენ ამორჩეულ კვერცხებს ჩემ ამორჩეულებსაც მივუმატებ და აბა ვისი მაგარი გამოდგება. აი შვილო, ეს კალათა კრუხებს დაგვისვამს, ახალი კვერცხებია, მეორე აღდგომებში მოგვინდება, და ეს კალათა-კი შენ უნდა გაიყარო მკლავში და ხვალ კ—ის რკინის გზის სადგურზედ ჩაარბენინო. იქ ეს შეღებილი კვერცხები ეგები გაჰყიდო და იმითი ერთი კელაპტარი იყიდე, შვილო, მამიშენისთვის უნდა ვაკურთხებინოთ მღვდელს ლიტანიაზედ და, რაც გროშები მოგრჩეს, იმითი პასკას იყიდი საკურთხევლად. თუ კიდევ გადაგვრჩა რამე, დუქნიდამ ხორცს მოვიტან და პირს გავიხსნილებთ. შენ ხომ კარგი ქალი მყვხარ. იქ მამაშენი შენთვის ილოცავს და ღმერთი კარგს ქალს გაგზრდის.

— მე წასვლა არ მეზარება, დედი, მაგრამ წითელი კვერცხები ვისრად უნდა, აღდგომას ყველას თავისთვის ექნება წითელი კვერცხები.

— როგორ არა. მარა, ისინი იყიდიან, ვინც შორს გზას მიემგზავრება, გზაში სად შეჰღებავენ და აღდგომა დღეს-კი ყველას ესიამოვნება წითელი კვერცხები სუფრაზედ. ხვალ რომ რკინის გზის სადგურიდგან დაბრუნდები, გენაცვალოს შენი დედა „აღდგომა" შინ დაგვხვდება და რამდენიც გინდოდეს, იმდენი კვერცხი დაუკარ გოგოებს. ეხლა-კი დაიძინე, ხვალ ადრე ადექი და საჩქაროზედ ჩაცუნცულდი კ—ში.

მარას წინააღმდეგობა არ გაუწევია დედისათვის. იმ სიხარულით, რომ ზეგ აღდგომა არისო, ყველაფერს მოითმენდა და გააკეთებდა. მით უმეტესად არ დაჰზარდა მარას სადგურზედ წასვლა, რომ კვლავაც ხშირად ყოფილა იქ, ბევრჯელ გაუყიდნია ხილეულობა, ჩურჩხელები, ყურძენი და სხვ.

კ—ის სადგური შვიდი ვერსის მანძილზედ იყო მარაანთ სოფელზედ და იქვეც ქალაქი X-ი.

მეორე დღეს, შაბათს, დილა ადრიანად მარას მკლავში წითელი კვერცხებით სავსე კალათა გაეყარა და ჩქარის ნაბიჯით კ—ის სადგურისაკენ მიეშურებოდა. ცოტა მოჩქარებით მიდიოდა, რომ მატარებლისათვის მიესწრო და კვერცხები მთლად გაესაღებინა. მარას პირისახეზედ სიხარულის ღიმი უკრთოდა, სახე მთლად გაბრწყინვალებული ჰქონდა და მისი ფიქრები და ოცნება „აღდგომისაკენ" იყო მიქცეული. გონებაში წარმოუდგა ყველა ის, „თუ როგორ ჩავიდოდა სადგურზედ, საჩქაროზედ გაჰყიდდა კვერცხებს, იყიდდა კელაპტარს, პასკას და ამითი ერთი რომ დედას გაახარებდა და მეორე მამასათვის ილოცავდა, თუ როგორის სიხარულით დაბრუნდებოდა იქიდგან, გამოჰკურცხლავდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა შინისაკენ, ადრე დაიძინებდა და კვირას ლიტანიაზედ წავიდოდა. ჩაიცვამდა ახალ ჩითის კაბას, ჯიბეში ჩაიწყობდა არჩეულ კირკიტ კვერცხებს და ტოლ-გოგოების გუნდში ჩაერეოდა. იქ ბევრ კვერცხებს დაამტვრევდა და ლიტონიიდგან გამარჯვებული შინ დაბრუნდებოდა"... მარას გული სიხარულით იყო აღსავსე. ისეთს სიხარულსა ჰგრძნობდა მარა ამ წუთში, რომ ტანმა ცმუკვა დაუწყო, ერთი შეიკუნტრუშა ამ შარა გზაზედ და თითქმის სირბილით გასწია სადგურისაკენ.

ჯერ მატარებლის მოსვლა ადრე იყო. მარა რომ მიუახლოვდა სადგურს, ლიანდაგი ჩუმად გადაირბინა, რომ წეს-რიგის დამცველს ჟანდარმს არ დაენახა, თორემ მაშინ ხმლის კვრით მარას სადგურიდგან გააგდებდა და ნებას არ მისცემდა სადგურზედ დგომისას. წინადაც, როცა მარა სადგურზედ ჩამოვიდოდა, ჟანდარმი მოსვენებას არ აძლევდა ხოლმე და არ შეეძლო თავისუფლად დგომა და გაყიდვა ხილეულობისა. ყოველთვის ჩუმად და მოკრძალებით ჰყიდდა ხოლმე. ჟანდარმს ხშირად დედამიწაზედ გადაუპნევია მარას ჩამოტანილი ხილი და მარა ტირილით გაუსტუმრებია შინ. მარას ეხლაც ამისა ეშინოდა და ამისათვის ცოტა მოშორებით ერთს ხეს ამოეფარა და განაბული უცდიდა მატარებლის მოსვლას. ამასთან მარას საშინელი მღელვარება და მოუსვენრობა ეტყობოდა. „ვაი თუ ჟანდარმმა ნება არ მომცეს და ცალიერი დავბრუნდე შინ"-აო, ჰფიქრობდა მარა და თან მოწეს-რიგე ადამიანს უთვალთვალებდა და ერიდებოდა. ამ წუთში მარას გული თითქოს ბუდიდგან ამოვარდნას აპირებდა. რაც დრო გადიოდა, მით უმეტეს ჰღელავდა მარა და გულის ცემაც თანდათან ემატებოდა. „ვაი თუ ის წყეული გადამელობოს და კვერცხებიც სულ დამიმტვრიოს"-ო, აი რასა ჰფიქრობდა პატარა ქალი და თან ქურდულად იჭყიტებოდა იქით, საიდამაც მატარებელი უნდა მოსულიყო. „რა უნდა იმ უბედურს, რომ მე ჩემი კვერცხები გავყიდო, იმას რას უშავებ, რატომ

ბათუმს გაჰგზავნიან. ასეთის სახლების დამზადებას ქარხანა იკისრებს და ამასთანავე გადაიტანოს იმ ადგილას, საცა შემკვეთი ისურვებს.

*** 9 აპრილს სასანიტარო სამკურნალო საბჭოს დაუდგენია:

1) იშუამდგომლონ, რომ შავის ჭირისაგან თავის დაცვის შესახებ ლექციების კითხვა ნება-დართულ იქმნეს: 2) რადგან ალაგ-ალაგ ყვავილი გაჩნდა, საყოველთაოდ გამოცხადდეს, რა და რა ადგილას უცრიან ყვავილს; ნაჩვენები იქმნას ქალაქის ექიმების სადგურები. ამ უკანასკნელთ დაევალოს: რომ ყველა მსურველთ აუცრან ყვავილი; ყვავილის აცრისთვის არა გადახდეს-რა; ეთხოვოს ქალაქის გამგეობას, რომ საქალაქო საბავშვო საავადმყოფოს ერთს ოთახში ყვავილიანები მოათავსონ და სხ.; და 3) შემდეგისათვის გადაიდოს იმის გარდაწყვეტა, მაკე და მწველელი საქონელი უნდა იკვლებოდეს, თუ არა.

*** როგორც ვიცით, ჭიათურის შავის ქვის წარმოება სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო შესამჩნევად დაეცა. ამ მიზეზთა შორის უპირველესი ადგილი ჭიათურიდგან შორაპნამდის რკინის გზით გადატანის ხარჯის სიძვირეა. შავის ქვის მწარმოებლებმა, აგერ სამი თვე იქნება, მთავრობის წინაშე შუამდგომლობა დაიწყეს, ნება-რთვა მოგვეცით ქუთაისში კრება გავმართოთო. კრებას საგნად ექნება, ღონისძიებანი გამოსძებნოს იმ მიზეზების თავიდგან ასაშორებლად, რომელნიც ჩვენის შავის ქვის წარმოების წარმატებას ასე აფერხებს. კრება თავისს განაჩენს მთავრობას წარუდგენს და სთხოვს, რომ დამაბრკოლებელ მიზეზთა თავიდგან ასაშორებლად შავის ქვის მწარმოებლებს დახმარება აღმოუჩინოს.

*** გურია: რა კი ოზურგეთის ვაჭრებისაგან მეოთხედ ფასსაც ვერ იღებენ თავიანთ ნაჭირნახულევში, რამდენმამე გურულმა ბზობის წინა კვირაში სიმინდის ფქვილი ფოთში წაიღეს გასასყიდად. მაგრამ, რადგან საშინელი ქარიშხალი ასტყდა და მალთაყვის ბორანზედ გასვლა შეუძლებელი იყო, ამის გამო საწყლებმა მთელი ორი დღე იცადეს იქ და ღმერთს შეჰყურებდნენ როდის გამოიდარებსო. ცოტაოდნად რომ გამოიდარა, მებორნემ ბორანის დაძვრა გაჰბედა, მაგრამ როცა ბორანი შუა წყალში მივიდა, თოკი გაწყდა და მდინარემ ბორანი ზღვისაკენ გაიტაცა. ის-ის იყო, ბორანი წყალში უნდა ჩაძირულიყო და ამოდენა ხალხი დაღუპულიყო, მაგრამ ამ დროს მეთევზეები მოეშველნენ ნავებით და ხალხი დაღუპვას გადაარჩინეს. ცხენებიც არ დაღუპულან, რადგან მეორე ნაპირას გასცურეს.

*** სოფ. დოისში (გორის მაზრა) თავ. ნიკ. ციციშვილის სახლის დაწვის საქმე ტფილისის ოლქის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებლის ბ-ნ დანილოვისათვის მიუნდვიათ გამოსაძიებლად. ეს ბოროტ-მოქმედება იმავე სოფლის მცხოვრებთ ანდრია ცერუაშვილსა და იასონ ტერტერაშვილს ჰბრალდებოდათ თურმე.

*** შინაგან საქმეთა მინისტრმა გუბერნატორებს საყოველთაო მიწერილობანი გაუგზავნა, რომელშიაც ნათქვამია: რადგან არსებობს ისეთი დიდი სოფლები, რომელშიაც 7 ათასზედ მეტი მცხოვრებია, განიხილეთ და განსაჯეთ, საჭირო ხომ არ არის ასეთს სოფლებში ქალაქის თვით მართველობა იქმეს შემოღებული და თუ საჭიროა, ადგილობრივ არავითარიმე გარემოება, ხომ არ უძლის ხელს იმის შემოღებასაო. ხოლო თუ ასეთი მართველობის შემოღება შეუძლებელია, რა ღონისძიებანი უნდა იქმნას მიღებული არსებული უწეს-რიგობის თავიდგან ასაცილებლად და ასეთ სოფლების პოლიციის საქმის განსაკარგებლადაო.

*** საქართველოს საეპარქიო სასწავლებელთა საბჭომ 26 მარტს ამა 1897 წ. დაადგინა და ეს დადგენილობა მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსისაგანაც იქმნა დამტკიცებული: 1) მოწონებულ იქმნას მ. ჯანაშვილის მიერ შედგენილი წიგნები ა) „მართლ-მადიდებელ ეკკლესიის ისტორია“ და ბ) „შოთა რუსთაველი“ —ორივენი საეკკლესიო სკოლებში სახმარებლადა და საკითხავად, და 2) მის მიერვე გამოცემული „საქართველოს გეოგრაფია“ ვახუშტი ბატონიშვილისა—წიგნი პირველი „სამცხე“ და მეორე „ქართლი“—საეკკლესიო სასწავლებელთა მასწავლებელთათვის.

*** ღრმა ღელე. ღრმა ღელე მართლაც ღრმა ღელედ არ დასახოთ. ეს არის საკმაოდ მაღალი და გაშლილი ადგილი, რომელიც ტფილისს ჰშორავს სამის ვერსით. აქ ეხლა გაცხარებული მუშაობაა. ამ ადგილის მკვიდრნი იშენებენ ბაღ-ვენახებს, იგებენ სახლებს და იწყობენ კარმიდამოს. ეს ადგილი, სადაც დღეს გაცხარებული მუშაობაა, შარშან წარმოადგენდა უდაბნო მინდორს, რომელზედაც აქა-იქ მოჩანდა მხოლოდ ტფილისის ქალაქის ტელეფონის ბოძები. მოსახლეკარობის ნიშანწყალიც არ იყო აქ შარშან მაისამდე. მაშ როგორ მოხდა, რომ დღეს ამ ადგილას უკვე გაშენებულია და ანუ შენდება სახლები, დუქნები, ბაღები და სხვ.

აი როგორ. ეს ადგილი სულ $90^1/_2$ დესიატინა, ანუ 181 დღიური, კუთვნილება იყო დ. ა. გურამიშვილისა. ამან ეს მიწა გაანაწილა 340 ნაჭრად (ყოველი ნაჭერი [illegible] 500 საჟენს) და ნაჭერი დააფასა 40—50 მან., 80—100 მანათამდე. მსყიდველნი ბევრნი გამოჩნდნენ და უკვე 300 ნაჭრამდე გაისყიდა. რაც დარჩა, ის ეხლა ჰფასობს 200—400 მან. „ლუკმა გავარდესო და ჯამში ჩავარდესო“, უთქვამს ჩვენს წინაპრებს. ჩვენდა საუბედუროდ, დღეს ქართველთა ძენი მრავალგან ჰყიდიან თავიანთ მამა-პაპეულს მამულებს, გარნა ეს „გავარდნილი ლუკმა“ ხელში უვარდებათ არა თანამოძმეებს. აქაც, ღრმა ღელეშიაც, ასრე მოხდა. მყიდველნი ქართველთაგანნი სათვალავში ჩასაგდებნი არც-კი არიან, ასე ცოტაა მათი რიცხვი. ეს აიხსნება მით, რომ ჩვენებმა ამ მამულის გაყიდვა შეიტყეს მხოლოდ მაშინ, როდესაც უკეთესი ნაჭრები უკვე გაყიდული იყო. ღრმა ღელის ახალნი მოსაკუთრენი უკვე სცდილობენ, მთავრობას აქ გააკეთებინონ რკინის გზის სადგური, წყალი გამოიყვანონ მილით (მტკვარი იქვე ღრმა ღელის გვერდზეა) ააშენონ ეკკლესია. და სხ. უეჭველია, ახლო მომავალში ღრმა ღელე შეიქმნება საუკეთესო სააგარაკო და სასეირნო ადგილად, რადგან იგი ფრიად ახლოა ქალაქზედ.

## დამაკვირდი

(ვარტერმეირი)

ირწმუნე ღმერთი—ეგ იმას ჰნიშნავს, ირწმუნო ადამიანი, რომელსაც სინდისი აქვს.

***

ყველა მზად არის მიაწოდოს რამ გაჭირვებულსა, ხოლო სხვისა ჯიბიდამ კი.

***

რა მდიდრები ვიქნებოდით, რომ ყველაფერში ისე ხელმოჭერილნი ვიყვნეთ, როგორც სამადლო საქმეში ვართ.

## ნაკვესი

—

ერთ გერმანელ სამღვდელო კაცთან მივიდა მოხუცებული დედაკაცი და სთხოვა, ძროხა გამიხდა ავად და იქნება მომარჩინოთ როგორმეო. კეთილი სამღვდელო გაჰყვა, შევიდა ბოსელში, გასინჯა ძროხა, გარს შემოუარა და ნელის ხმით წაიდუდუნა:

— თუ გადარჩა, იცოცხლებს; თუ მოკვდა, ცოცხალი აღარ იქნება. მე ვეღარას ვუშველიო და წავიდა.

ძროხა მორჩა, რითიც მოხუცი, რასაკვირველია, დიდად იყო გახარებული.

რამდენისამე ხნის შემდეგ თითონ ამ კაცს ყელში მუწუკი გამოუვიდა და აწუხებდა. ეს მოხუცებული დედაკაცი მივიდა და უთხრა იმისს შინაურებს, რომ უეჭველად უნდა მაჩვენოთ ავადმყოფიო. როდესაც შეიყვანეს სახლში, გარს შემოუარა ავადმყოფს და იმავე სიტყვების ბუტბუტი დაიწყო, რომელიც მან ძროხას უთხრა და რომელსაც სთვლიდა თავისის ძროხის მორჩენის მიზეზად. იმ კაცს ისე ეოცა ამ დედაკაცის საქციელი, რომ გაიხარხარა, მუწუკი გაუსკდა და განიკურნა.

***

ბავშვებს ხშირი მოუვიდათ კვერცხობანის თამაშობის დროს, შელაპარაკდნენ და დაიწყეს ერთმანეთთან თავის მოწონება, ჩვენ ესა გვაქვს, ესა გვყავსო და თქვენ-კი არაო. ერთს მათგანს, ექვსის წლისას, მასალა რომ შემოელია, წამოიძახა:

— ჩემს მამიდას შეუძლიან პირიდგან კბილები გამოიღოს და ისევ ჩაისვას, შენს მამიდასაც შეუძლიან ესა?

ამ სიტყვებმა მეორე პაწია ბიჭი ძლიერ ჩააფიქრა და ვეღარა უპასუხა-რა.

***

— სად ეშმაკში გადახავრეთ ჩემი ბარომეტრი (ტაროსის მაჩვენებელი)? ჰკითხა ბატონმა გლეხ-კაცს.

— თქვენა ბრძანეთ, შენი ჭირიმე, რომ რაც უფრო მაღლა აიწევსო [illegible], კარგი დარი დადგებაო, მეც ავიღე და ი ჩვენი კაკლის წვერზედ ჩამოვკიდეო, უპასუხა გლეხ-კაცმა.

## აღდგომა და ბაირამი

(ისტორიული ნაწყვეტი).

„კბილისა წილ კბილ,
თვალისა წილ თვალ.“

1209 წლის გაზაფხულია. ხე-ტყე ახლად აყვავებულა. მინდორ-ველი

---

თავს არ დამანებებს“? მალ-მალე ეკითხებოდა მარა თავისს თავს და წყევლა-კრულვით იხსენიებდა...

აგერ ზარიც ჩამოჰკრეს და მატარებელმა უკვე დაიკივლა. მარას ერთი კიდევ შეუტოკდა გული და მოემზადა, რომ მატარებელთან მისულიყო, შერეოდა ხალხს და ჟანდარმის შეუმჩნევლად გაესაღებინა კვერცხები, მატარებელი უკვე გაჩერდა. სადგურზედ (რომელიც კარგა მოზრდილი იყო) ხალხმა მოძრაობა დაიწყო. ყველას რაღაცა მოუსვენრობა ეტყობოდა. ამ დროს მარაც გამოხტა თავისის საფარიდგან და მგზავრებს კვერცხებს აწოდებდა, „წითელი კვერცხები, წითელი კვერცხები“-ო! ჩუმის ხმით ელაპარაკებოდა მარა მგზავრებს, სახეზედ მოკრძალებისა და სიბრალულის გამომეტყველობა ეტყობოდა და თითქოს ამ დროს მისი გამომეტყველობა ამას ამბობდა: „იყიდეთ რა არის! თქვენთვის შაური არაფერია და მეკი ბევრს მარგებსო“. მარა თან კვერცხებს ჰყიდდა და თან შეშინებული აქეთ-იქით იყურებოდა: „ის უბედური ხომ არა მხედავსო“-ო...

დააწყობდა თიხის თეფშზედ ხუთ-ხუთ კვერცხს და მთრთოლვარე ხელებით აწოდებდა მგზავრებს ფანჯრიდგან... მარა კანკალმა აიტანა: ერთის მხრით ჟანდარმისა ეშინოდა და მეორეს მხრით სცდილობდა და სჩქარობდა, რაც შეიძლებოდა მეტი კვერცხები გაესაღებინა. აგერ უკვე კალათა მთლად ამოაცალიერა და სულ რამდენიმე კვერცხი-ღა დარჩა... მატარებელიც იძვროდა, მარას მიწოდებული ჰქონდა ჯამით წითელი კვერცხები და ხელი გაშვერილი ფულის და ჯამის უკან გამოსართმევად. დაიძრა მატარებელი და მარაც თან მისდევდა. ერთს კაცს დაეჭირა ხელში შაური და თეფში და მარას აწოდებდა, მაგრამ ამავე დროს ხელში კი არ უდებდა, უნდოდა ეწვალებინა, ესიამოვნებოდა, მარა რომ ისე შეწუხებული მისდევდა და სიცილ-ღრეჭით აბრაზებდა საცოდავს. ყველას თავები ფანჯარაში ჰქონდათ გამოყოფილი და, რა ჰხედავდნენ მთრთოლვარე, შეწუხებულ გლეხის ქალს, სიცილ-ხარხარი გაჰქონდათ და ოხუნჯობდნენ.

— უბედურს თმა ვერ დაუვარცხნია, ალივით გასწეწია და მაგისგან ნაყიდი კვერცხები არც-კი იჭმევა, ტუჩების აბზეკვით ამბობდა ერთი მგზავრთაგანი.

— გენაცვალეთ, რა აშალლარა რამ არის ე გომბიო. ეუბნებიან, არ გვინდაო და ის-კი შეუპოვრად ყველას ხელში აჩეჩებს და თავს აბეზრებს!—ტუჩებზედ ხელის დადებით დაუმატა მეორემ.

— შეხედე მაგ ლირფსა—დააა!!. ლამის პირში შევარდეს კაცს! უნდა კარგად ლაზათიანად მიტყეპონ, პოლიციაში „არესტოვატი“ უყონ და მაშინ მოიშლის წანწალს... დანარჩენებს კვერს უკრავდა გაბერილი ვაჭარი.

ხარხარებდნენ და იცინოდნენ, რომ კაცი ისე აწვალებდა მარას, ისიც თან ხვეწნითა და მუდარებით მისდევდა და თან თვალებზედ ცრემლები ერეოდა. ყველას ყურადღება მარასაკენ იყო მიქცეული. სამასხარო საგანი დაინახეს და სალაპარაკო გაიჩინეს... პირველის კლასის ვაგონებიდგანაც იყურებოდნენ და ამ სანახავით ჰსიამოვნებდნენ. ერთს ქალს თავისი პატარა ქალი, ასე ოთხის-ხუთის წლისა, ხელში აეყვანა და რომ გაეჩუმებინა ტირილისაგან, მარასაკენ ახედებდა და ეუბნებოდა: აბა შეჰხედე უბედურ გლეხუჭას გოგოს, რა რიგად თმა გაწეწილი და ფეხ-შიშველა მიხტის! სწორედ მაიმუნსა ჰგავს... იმის ფეხებს შეჰხედე როგორი ჭუჭყიანია!.. ართობდა დედა თავისს შვილს და მარას სიღარიბეს, მის დაგლეჯილ დაკონკილს ტანთ-საცმელს, ფეხშიშველობას როგორც რამე საკვირველებას—ისე უჩვენებდა. ბავშვიც სასოებით უცქერდა პირის სახეზედ და მისს სიტყვებს გულში იკენჭავდა.

მატარებელი მიჰქშინავდა და სვლას თანდან უმატებდა, ძალას იკრებდა და მეტის სისწრაფით უდგებოდა გზას, მარა მაინც არა ჰშორდებოდა თავისს მტანჯველს, მისდევდა და მისტიროდა... ამ დროს ჟანდარმა შენიშნა, წაავლო ხელი და უნდოდა შეეკავებინა, მაგრამ მარა ხელიდგან გაუსხლტა და ისევ მატარებელს გამოეკიდა... უცებ თვალები აუჭრელდა, დაუსხლტა ფეხი და მატარებლის ქვეშ მოექცა... მატარებელმა ქშინვას უმატა და სწრაფად გასწია.

სადგურზედ ალიაქოთი ასტყდა: ყველას უნდოდა გაეგო, რა დაემართა იმ პატარა გლეხის გოგოსაო... სადგური რომ განათავისუფლა მატარებელმა, ხალხის ბრბო იქითკენ მიაწყდა, სადაც მატარებლის მსხვერპლი იდო. დაინახა თუ არა წესრიგის დამცველმა, მარა მაშინვე იცნო და სახეზედ ღიმილი მოუვიდა: „ახია შენზედ!“ გაიფიქრა: „მაწანწალა გოგოების ბოლო ეგ უნდა იყოს, მატარებლის ახლოს ამოგდიოდა სული და იმანვე მოგიღო ბოლო!“ თვისი მოვალეობა სწრაფად აღასრულა და ვრცელი ოქმი შეადგინა.

II

აღდგომის წინა დღე იყო და სოფლიდგან მრავალი გლეხ-კაცობა იყო ჩამოსული ქალაქ X-ში. ზოგს მათგანს შეშა ჩამოეტანა გასასყიდად, ზოგს კვერცხები, ზოგს ბატკან-გოჭინდაური და სხვანი, რომ აღდგომისათვის ცოტაოდენი სახარჯო ეშოვნათ. კ—ის სადგურზედაც მარას სოფლიდგან რამდენიმე კაცი აღმოჩნდა, რომელთაც ბერელაანთ მარა მალე იცნეს, სთხოვეს ჟანდარმს დაენებებინათ მათთვის და ურმით შინ სოფელში წაეღოთ მიცვალებული. ბევრის ხვეწნის შემდეგ ნება-რთვა მიიღეს, მოსძებნეს ქალაქში ურემი და მარა შიგ ჩაასვენეს სოფელში წასაღებად.

მზე დასავლეთისკენ იყო გადახრილი, რომ ურემი ნელა მიჰრიალებდა გრძელს, მიხლაკნილ-მოხლაკნილს გზაზედ და თითქოს მცხედარს დასტიროდა. ამ ურემს მრავალიც სხვა ურემი მისდევდა უკან და გაისმოდა მეურმეების გულ-ახდილი ბაასი.

— უბედურად არ ამოწყდა შენი ჭირიმე, ე ბერელაანთ გვარი!.. ერთი ხინჩლიანი გოგოლა ეგდო მთელს ოჯახში და ისიც ასე უბედურად გამოესალმა წუთი-სოფელს.

— სიკვდილი კიდევ მადლობა ღმერთსა, მაგრამ ასეთის სიკვდილისაგან-კი ჩემი მტერიც დაიფაროს,

მწვანით ბიბინებს. ქრისტიანე ერი დიდის ზეიმით ემზადება ხვალინდელი აღდგომის სადღესასწაულოდ. დაღამდა შაბათი და ანისის ქალაქში ისევ ხმაურობაა, სიხარულის ხმა ისმის 1001 ეკკლესიანს ქალაქში. „თამარ-დედოფალი დიდი ხელწიფეა; მან უზრუნველ გვყო მოსისხლე მტერთაგან; დღეგრძელმცა ჰყოს დღენი დედოფლისა ჩვენისანი,“ ეუბნებიან ერთმანეთს ქუჩაში შეხვედრილნი ანელნი. უკვე მამლის ყივილია. ზართა მაგიერ დაიწყეს ძელთა ცემა *). ქრისტიანენი შეიკრიბნენ ტაძრებში და სააღდგომო ლიტანია დაიწყო. საკრებულო ტაძრის მღვდელმთავარი გამობრძანდა ამბიონზედ და მლოცველს ერს ახარა:

— ქრისტე აღსდგა!

— ჭეშმარიტად აღსდგა! მიუგო ერმა.

გარეთ გაისმა კივილ-წივილი, ყვირილი და ყიჟინა. თუმცა ყიჟინა დიდი იყო, მაგრამ მლოცველთ ამ ყვირილში ცხადად გაარჩიეს ძახილი „ძმანო, დავიღუპენით. თავს უშველეთ. არდაველის სულტანი შემოვარდა ქალაქში, იკლებს და ჟლეტავს ხალხს.“ ასეთი ვაიუშველებელი ასტეხეს იმანელ სომხებმა, რომელნიც ახლო მდებარე სოფლიდგან ქალაქში მოდიოდნენ ლიტანიაზედ დასასწრებლად და ძლივს გამოესწროთ და გამოქცეოდნენ შიგ ქალაქში შემოსულ მტრებს.

მართლაც, მტერი ფრიად მძვინვარე იყო. იგი ჰკლავდა, ჰხოცავდა, ჰკაფავდა, ცხენებს აჭყლეტინებდა ქრისტიანე ერს, რომელიც ზოგი ეკკლესიისკენ მიდიოდა და ზოგი ეკკლესიებიდგან გამოდიოდა, რათა გაეგო მიზეზი უჩვეულებრივო ხმაურობისა და ჟრიამულისა. ულმობელმა მტერმა გაჟლიტა 12,000 სული ანელი შიგ ეკკლესიებშივე; გადარჩნენ მხოლოდ ისინი, რომელთაც მოასწრეს ქალაქიდგან გაქცევა და დამალვა ქვაბებსა და ციხეებში. ხოლო გაქცევა ადვილი არ იყო, რადგან ანს სამთავე მხრივ ერტყა „ქარაფი კლდოვანი და ქვაბოვანი“. ანისი მთლად აახრა მძვინვარე მტერმა. სადაც წეღან დიდებული გალობა ისმოდა, ქრისტეს აღდგომის მაუწყებელი, იქ ახლა თათართა მოლანი გაიძახოდნენ: „ალლაჰ ვერდი!“ საცა წეღან ბრწყინვალე სახით გაბრწყინვებულს სახლებსა და ეკკლესიებში იყვნენ ქრისტიანენი, იქ ახლა თარეშობდნენ თათარნი და მხიარულად ყიჟინებდნენ, იმისდა მიუხედავად, რომ მათს ფეხ-ქვეშ ისმოდა გმინვა და კვნესა დაჭრილთა და დაკოდილთა. მტერმა აიკლო და დაარბია დიდებული ქალაქი, „აღივსო ტვირთითა და ალაფითა ურიცხვითა და წარვიდა და მიიწია შინა“.

—

1210 წლის გაზაფხულია. არდაველის სულტანი და მისნი ქვეშევრდომნი დიდს მზადებაში არიან, რომ აიდი (ბაირამი) დიდის დიდებით იდღესასწაულონ. აი მათმა „ქადაგმა კმა ჰყო“, გახშირდა მოლათა ყივილი, რომელიც იწვევს მაჰმადიანთ სალოცავად მიზგითებსა და მეჩითებში. არდაველის ერი უკვე შეიჯარა, შეიყარა. ლოცულობენ, „ნამაზს“ იხდიან... თქრრრ! ისმა ცხენთა დგრიალი, ქალაქი გაივსო ქართველთა ლაშქრით. არდაველის მკვიდრნი, ვითარცა გნოლნი, მახეში მოემწყვდნენ. თამარის ლაშქარმა შეჰბოჰა იგინი და მათთან ბოროტი სულტანიცა და მისნი ცოლ-შვილნი; თამარის მხედრობამ გასწყვიტა იმდენივე თათარი, რაოდენიც იმათ გაეჟლიტათ ანისში. შემდეგ ამისა მოაგროვეს რაც-კი რამ ძვირფასეული იყო ქალაქში: თვალი, მარგალიტი, ოქრო, ვერცხლი, ოქრო-ვერცხლის ჭურჭელი, შესამოსელი, საფენი, ცხენი, ჯორ-აქლემი და საქონელი. მთელი დავლა მათსავე სახედრებს აჰკიდეს და წამოიდნენ და წამოიყვანეს არდაველის სულტანი ცოლ-შვილით და აგრეთვე მრავალი ტყვე.

თამარი კოლას იდგა მაშინ. მას მიართვეს სიმდიდრე აურაცხელი, უზომო. ,,დედოფალთ დედოფალმა‘‘ და მეფეთა-მეფემ დიდად დაასაჩუქრა თვისი სპასალარი ზაქარია და მისი ძმა იოანე.

—

თამარი ბოროტი ადამიანი არ იყო, რომ ხასიათად ჰქონოდა მტრის მიმართ მიგება ,,კბილის წილ კბილისა და თვალისა წილ თვალისა‘‘, გარნა ასეთი საქმე სულ-გრძელს დედოფალს ჩაადენინა ზაქარია მხარგრძელმა.

ანისის აოხრება და 12,000 ქრისტიანე სომეხთა გაჟლეტა არდაველის სულტანისაგან თამარს აცნობეს ,,ახალკვირიაკის დღესა‘‘. იგი ფრიად შესწუხდა, რადგან შეეცოდა დაღუპულნი ქვეშევრდომნი. ზაქარია და იოანე-კი ისე გაბრაზდნენ, რომ ,,ცეცხლებრ ენთებოდნენ‘‘ და აღარ იცოდნენ, რა ექნათ. მათ მოახსენეს დედოფალს: ,,ჩვენცა შური ვაგოთ და ნაცვლის ქმნად განვემზადნეთ. ამცენ, მეფეო, სპათა შენთა, რათა მზა იყვნენ არდაველისა სულტანსა ზედა წარსვლად‘‘. მეფემ სათანადო ბრძანება გასცა. წავიდნენ ანისს ლაშქარნი იორიდამა, თმოგვიდამა, ჰერეთ-კახეთიდამ და სომხითიდამ და იქიდგან ,,გადაფრინდნენ‘‘ არდაველს, რომელსაც ისე მიეპარნენ და შემოერტყნენ, რომ აიდის მომლოდინე მაჰმადიანთ ვერ შეიტყეს, ვიდრე ქართველნი არ შეცვინდნენ ქალაქში..

მ. ჯანაშვილი

*) სპილენძის ზარი მაშინ ჯერ არ იყო მოგონილი.

## გასართობი

ამ დროის ათი მცნება

(მიბაძვა)

1) მე, ესე იგი, ფული, ვარ სალოცავი შენი და არა იყვნენ შენდა სალოცავნი სხვანი ჩემსა გარეშე.

2) არა ჰქმნა თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადვე მსგავსნი, რაოდენი არს ქვეყანასა ზედა ქვე და რაოდენი არს წყალთა შინა და ქვეშე ქვეყანისა. თაყვანსა სცემდე ფულსა შენსა და მსახურებდე მას.

3) არა მოიღო ზანდუკი ფულისა შენისა სამწეოდ მოყვასისა შენისა.

4) მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმიდა ჰყავ იგი,—ექვსსა დღესა მხოლოდ ჰხვეჭდე ფულსა და ჰქმენ მათ შინა ყოველივე ფულისა მოსახვეჭად, ხოლო დღე იგი მეშვიდე არს ფულისა შენისა, დაჯედ და სთვალე იგი.

5) პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, ბებიასა შენსა, ბიძასა და ყოველსა ნათესავსა შენსა, ვისაც-კი ბლომად მოეპოვება ფული და არ მოეპოვება სხვა მემკვიდრე, რათა ჟამსა სიკვდილისასა ფული თვისი გიანდერძონ შენ.

6) არა კაც ჰკლა, ეცადე მხოლოდ წაართვა მას საცხოვრებელი მისი.

7) არა იმრუშო, თუ მრუშობისა მის გულისათვის ფული გაგედების.

8) იპარე ფული და ყოველივე იგი, რაიცა ფულად გაიყიდების, ხოლო ეცადე-კი არ მოგასწრონ პარვასა მას ზედა.

9) არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა და არა წარსდგე წამებითა ცრუითა წინაშე სასამართლოისა, ვიდრე ცრუ მოწმობისათვის ნაღდს ფულს არ დაგითვლიან.

10) არა გული გითქმიდეს ვენახისათვის მოყვასისა შენისა, არცა ყანისათვის მისისა, რამეთუ ყოველსავე ამას შრომა უნდიეს სასტიკი და ძლიერი; არა გული გითქმიდეს არცა მამულ-დედულისათვის მისისა, რამეთუ ყოველივე ეს ბანკსა შინა არს დაგირავებულ და ხელს არ მოგცემს.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 აპრილი

**კონსტანტინეპოლი.** ელასონიდგან მოსულს დეპეშებში ნაუწყებია, რომ კურტის ვალი დაიპყრო მეხუთე დივიზიამ ნეშათ-ფაშის წინამძღოლობით და დაჭერილ იქმნაო მთა ტირნანტეპესსი, რომელიც უღელ-ტეხილსა და პაპალივადოს მაღლობებზედ ჰბატონობს. ამ ადგილებში ზარბაზნებია დაწყობილი. ბერძენთაგან წართმეულ მალუნის მაღლობებზედ სამი ბატარეია სდგას, ხოლო პერკარის მაღლობებზედ — ორი. აქამდე 9 სასაზღვრო ბინა სიმაგრეა დაპყრობილი. აღებულია აგრეთვე ყარადერე, ყარდშალი, სემერტი, თეპე და კაზაკლისი; ბერძნებმა უკან დაიწიეს და სამხედრო მასალა დასტოვეს. ბრძოლა ისევ არის ბერძენთა საგერ ადგილებში ნერაჩისთან და ამასთანავე ოსმალები კვლავ იმის სამზადისში არიან, რომ ლარისს დაესხნენ თავს.

სულთანმა მადლობა გარდაუხადა ედჰემ-ფაშასა და ჯარს.

**ათინა.** აწ მომქმედ ჯარში ჩარიცხულ იქმნენ ჟანდარმნი და პოლიციის რაზმნი და საზღვარზედ გაიგზავნენ. საპოლიციო სამსახურის ასრულება მოქალაქეებმა იკისრეს თავისისავე ნებით.

**კაპშტადტი.** როდსი მოვიდა ინგლისიდგან და აღტაცებით მიეგებნენ. მან განაცხადა, რომ ვიბრძოლებ, რათა თანასწორი უფლება მიენიჭოს ყოველს ერს ზამბეზის სამხრეთით, ხოლო კანონიერის საშუალებანითკი.

**კონსტანტინეპოლი.** 9 აპრილი. მთავარ-სარდალი ედჰემ-ფაშა ლარისსზედ მიდის და იმედი მაქვს, რომ დღეს ანუ ხვალ დაიპყრობს ამ ქალაქს.

პორტას ამბავი მოუვიდა, რომ სა-

---

ულვთო სიკვდილი იყო ამ საცოდავის მარას სიკვდილი! დაუმატა მეორემ.

— კაცის სიკვდილი წერაა. როგორც კაცს უწერია, ისე მოკვდება. ალბად ამის წერაც ეს იყო, ღვთის განგება ასეთია, ვენაცვალე იმის მადლს!.. ჩაერია კარგა შეხნიანებული მეურმე.

— უყურე იმ უბედურ დედას, სწორედ თავს მოიკლამს მწუხარებით... ან მოსაკლავი არა აქვს?.. რაღა ეს უბედურება უნდოდა. მაგრამ იმის ბრალიც არის, ცერისტოლა გოგოს ასე უპატრონოდ როგორ უშვებდა.

— მაშ რა ქნას, როცა ვაჟკაცი არავინა ჰყავს ოჯახში, გაჭირება ყველაფერს აქნევინებს კაცს. დაათავა ლაპარაკი მეურმემ, რომლის ურემზედ მარა ესვენა.

საღამო ჟამი იყო. ურემი სოფელს მიუახლოვდა. სოფელი მყუდროებას მოეცვა. გარეთ ჭაჭანებად არავინ მოჩანდა, ყველა სახლში ბუდარაობდა, ყველა ღარიბი და მდიდარი, ხვალინდელს დღისათვის ემზადებოდა. საღამოთივე ამზადებდნენ სანოვაგეს, რომ ადრიანად გაეხსნილებინათ პირი. სიდოც-კი, ეს გალატაკებული ქვრივი, რაღაცა მოძრაობაში იყო. ალაგებ-ასუფთავებდა თავისს სახლს; კვერცხები უკვე შეეღებნა და ეხლა დაეჭირა ერთი ნასუქი დედალი და სწიწკნიდა და აკეთებდა. თუმცა სიდოსათვის ადვილი არ იყო ამ დედლის დაკვლა, მაგრამ მეტი არა გააჩნდა-რა პირის გასახსნილებლად და იმისი დიდი იმედიც არა ჰქონდა, რომ იქნება მარამ მოიტანოს რამ ხორცის სასყიდლადაო. სიდოს ხელში დედალი ეჭირა გასაკეთებლად, თან მარას ფიქრში იყო, იმის დაგვიანებას დარდობდა და მოუსვენრობდა, როდესაც გარედგან ხმა შემოესმა:

— ადამიანო! გარედ გამოიხედე!..

სიდომ მეზობელს თედოს ხმა იცნო და გულ-გახეთქილმა უპასუხა:

— რა იყო, თედო, მითხარი ჩქარა!..

— რაღა რა, უბედურება ჩვენს თავსა!.. მარა მაშინამ გაიტანა და... თედოს ტირილი მოუვიდა და სიტყვა ველარ დაათავა. თითქო ნუგეშინის ცემა უნდოდა, მაგრამ ველარ მოახერხა.

— ვაი შენს დედასა, შვილო! ერთი-კი შეჰკივლა სიდომ და გრძნობაგონება სრულიად დაჰკარგა. სიდოს ყვირილზედ მეზობლობა შემოიკრიბა, ყველა მეურმეს ეკითხებოდა უბედურების მიზეზს და ისიც დიდის გულმტკივნეულობით მოუთხრობდა ამ სამწუხარო ამბავს... ცხედარი სახლში შეასვენეს და სიდოც გონს მოიყვანეს... მეზობლებმა დაიწყეს ერთმანეთში ტუტუნი და ყველა სიდოსა ჰქოლავდა: ,,თავისის ხელით მოჰკლა უბედურმა უკვდავება შვილი“-ო.

მშვენიერი ვარსკვლავებიანი ღამე იყო. ეკკლესიის გალავანი სავსე იყო ახალ-გაზდა ქალ-ვაჟით, რომელთა სიმღერა, ხუმრობა-კასკასი შორს გაისმოდა; ყველა მღვდლის მოსვლას, პირველად მისგან წარმოთქმულს ,,ქრისტე აღსდგა‘‘-ს ელოდდა და სახეზედ სიხარულით სასოება აღბეჭდოდათ.

აგერ მღვდელიც მოვიდა, რომელსაც ჯერ სრულიად არ გამოჰფხიზლებოდა, საჩქაროზედ შეიმოსა, გამოიტანა ჯვარი და ღიმილით ერს „ქრისტე აღსდგა“ ახარა! ყველა ერთხმად „ჭეშმარიტად“-ს უპასუხებდა და ამ სიტყვაში განუსაზღვრელს სიყვარულსა და ნეტარებასა ჰგრძნობდნენ...

ლიტონიის შემდეგ ახალგაზდობა გალავანში დარჩა და ცოტა ხნიანი ხალხი-კი ეკკლესიაში შევიდა. ყველა ერთმანეთს „ქრისტე აღსდგა“-ს ეუბნებოდა, შურისძიება, მტრობა და სხვა ბოროტებანი ყველას დაჰვიწყებოდა ამ წუთში და სიყვარულით აღსავსე გულით ულოცავდნენ ერთმანეთს... ასტყდა კვერცხების ჩახაჩუხი. აქა იქ ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილიყვნენ ქალები ცალკე, ბიჭები ცალკე და ერთმანეთს კვერცხებით ებრძოდნენ, ერთი-მეორის დამარცხებას, დაჩაგვრასა და მოტყუებას სცდილობდა... ზოგს წმიდა სანთელი დაეჭირა ხელში და მებრძოლთა კვერცხებს უნათებდა, რომ ერთმანეთი ჩაკირულის კვერცხებით არ მოეტყუებინათ. ყველა ხარობდა. ყველას გულში სიხარული, სიყვარული და აღტაცება იხატებოდა.

ამ დროს ბერელაანთ ქვრივი სიდო თმა გაწეწილი იჯდა ტახტზედ და იმის წინ უსულოდ მდებარე ერთად-ერთს შვილს მარას თავს დასტიროდა. ოთახს სუსტად ანათებდა ნავთის ჭრაქი, რომლის მკრთალი შუქი იქაურობას მოჰფენოდა და ისეც სამწუხარო სურათს მთლად აშავბნელებდა... ჭრაქის სუსტი და მკრთალი ნათელი მარას განსპეტაკებულს სახეს მეტად ამშვენებდა. სახე ლამაზად გადასჭიმოდა, თმები ნორჩ სახეზედ გადმოჰფენოდა, ასე გეგონებოდათ, ტკბილს ძილშიაო...

მთელი სიცოცხლე სიდომ სიღარიბეს და გაჭირვებაში გაატარა, მოუკვდა ქმარი, დარჩა ერთად-ერთი ქალიშვილი მარა და სიღარიბემ ერთიორად იმატა... თვეები გავიდოდა, რომ სიდოს სახლში ცეცხლი არ ანთებულიყო, თვეობით თბილის საჭმლის ნატრულნი იყვნენ დედაშვილნი და ნახევარზედ სიმშილს იტანდნენ. სიდოს პატრონი ქვეყანაზედ არავინ იყო. ერთის დანგრეულ ქოხისა და პატა ბოსტნის მეტი არა ებადათ-რა და ყველა ამას აინუნშიაც არ აგდებდა, ყოველს ჭირს უმაგრდებოდა, რაკი ერთი იმედი კიდევ დარჩენოდა ქვეყანაზედ, რომლის ბედნიერება გაახარებდა სიდოს, მის კელაპტრად აინთებოდა და ყველა ვარამს დაავიწყებინებდა. ეს იყო მარა, რომლის გაციებული, სიცოცხლეს მოკლებული გვამი წინ ედო და ზედ მწარედ დასტიროდა. საბრალოსათვის ახალი კაბა ჩაეცმია, მოეწყო მისთვის გვერდზედ მისივე არჩეული წითელი კვერცხები და ათას რასმეს ჩაჰლაპარაკებდა...

მთელი მისი არსება ამ წუთას მარას ეკუთვნოდა, იმისი მკვნესარე გული მწუხარების მეტს არასა ჰგრძობდა. ხან-დასმით დაეკონებოდა ხოლმე საკოცნელად გაციებულს გვამს, წარმოიდგენდა თავისს საყვარელს შვილს ცოცხლად და ერთთავად ამას ჩასძახოდა: „ქრისტე აღსდგა, შვილო, ქრისტე აღსდგა!“-ო და თან მდუღარე ცრემლებს აფრქვევდა.

ალ. სოლოლაშვილი

ზღვარზედ მდებარე ოსმალეთის ყველა ადგილები, რომელიც ბერძნებმა დაიჭირეს შაბათს, უკან წაერთვათ, საზღვარზედ მდებარე ანილისპისის მთის გარდა, რომელსაც მაგდენი მნიშვნელობა არა აქვს-რა. რადგანაც მტერი დიდხანს ვერ იმაგრებს თავს დაჭერილს ადგილებზედ, იმათი დაპყრობაც ყოველს საათს მოსალოდნელია.

პარასკევს ოსმალები შედარებით ძალიან დაზარალდნენ, ხოლო კვირასა და ორშაბათს მაგდენი ზიანი არა მოსვლიათ-რაო.

9 აპრილს გემით წავიდა საბერძნეთის ელჩი თავისის ხელქვეითებით.

აქედგან გასული საბერძნეთის ორი გემი, ხორბლით დატვირთული, დარდანელში იქმნენ დაჭერილნი, მაგრამ შემდეგ ისევე განათავისუფლეს.

ტოკატოში დაიწყებს სასამართლო გარჩევას იმათ საქმისას, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ამას წინად ხალხის ხოცვა-ჟლეტაში.

**ლონდონი.** „Morning Post“-ს აუწყებენ დეპეშით კონსტანტინეპოლიდგან: „აქ ხმა დადის, რომლის შესახებ ჯერ ნამდვილი ცნობა არ მოსულარა,—რომ ბერძნებმა, ოსმალებთან ბრძოლის შემდეგ, დაიპყრესო მიტილენი და ხიოსი. ოსმალეთის ფლოტი, რომელიც ბეზიკსის ყურესაკენ მიდიოდა, უკან დაბრუნდა ნავარის კონცხისაკენ. იუწყებიან, რომ ხიოსსა, მიტილენსა და სამოსში არეულობა მოხდა და საბერძნეთის შემწეობით კარგად განწეს-რიგებულს აჯანყებას აპირებს ხალხიო“.

ელასსონიდგან დეპეშა მოვიდა, რომ ბერძნებმა დასცალეს ტურნავო, ხოლო დამასის ახლოს კურტთან ისევ ომია და აქ ოსმალთა ბატარიებმა სროლა აუტეხეს ბერძენთა ცასკოსთან მყოფ არტილერიას. თუ ეს ორივე ადგილი დაიჭირეს ოსმალებმა, ლარისისაკენ მოძრაობას აღარა გააძნელებს-რაო.

9 აპრილს დარდანელში წავიდა მეორე ესკადრა.

„რეიტერის სააგენტოს“ აუწყებენ, მალუნის უდულტერალიდგან რვა აპრილს: „ოსმალები საერთო სამზადისში არიან. ნეშად-ფაშამ იერიშის მიტანა დაიწყო ტურნავოსთან მყოფ უკანასკნელ მაღლობის წინააღმდეგ. დეპეშის გამოგზავნის დროს ომი ჯერ არ არის შეწყვეტილი. ბერძნებმა მაღლობებზედ რამდენიმე ზარბაზნები დასდგეს, მაგრამ სროლა ჩქარა შეაჩერეს. ბერძნები ტურნავოსთან იყრიან თავს“.

10 აპრილი

**ვენა.** „Neue Freie Presse“ უარჰყოფს იმ ცნობას, ვითომ სერბია იარაღს ისხამს და განზრახვა აქვს მოქმედება დაიწყოსო. სერბიის მთავრობას აზრადაც არ აქვს წინააღმდეგობა გაუწიოს რითიმე ევროპის მშვიდობის-მყოფელ სურვილთსო.

**ათინა.** არტიდგან დეპეშა მოვიდა, რომელიც იუწყება, რომ პოლკოვნიკმა მანოსმა ფილიპპიალებზედ გაილაშქრა. ოსმალებმა ქალაქს ცეცხლი წაუკიდეს და დასტოვეს. პოლკოვნიკმა მანოსმა ქალაქი დაიჭირა და საბერძნეთის დროშა გამოჰკიდა.

**კონსტანტინეპოლი.** 8 აპრილი. ბოლგარიის აგენტმა დაბეჯითებითა სთხოვა სულთანს, დაპირებული ბარათები მოგვეცითო და ამას დასძინა, რომ თუ არას დაგვითმობთ, ხალხი ისეა აღელვებული, რომ ბოლგარიის მთავრობა ამას იქით უმოქმედოთ ველარ შეიძლებს ყოფნასო.

**ვენა.** იმპერატორი ვილჰელმი მოვიდა და რკინის გზის სადგურზედ იმპერატორი ფრანც-იოსები მიეგება.

**კონსტანტინეპოლი.** 9 აპრილი. ელასონიდგან მოსულს დეპეშებში ნათქვამია, რომ ყველა ადგილ-სიმაგრე საბერძნეთისა გერაჩის მდინარესა და ნეზეროსის შუა ოსმალებმა დაიჭირესო. გუშინ ედჰემ-ფაშას ამარას ჰქონდა უმთავრესი ბანაკი. ამ ჟამად მთავარ სარდალი წინ მიიწევს.

გუშინ ბერძენთა ეკკლესიებში არიგებდნენ ოსმალეთის ქვეშევრდომ ბერძნებს, რომ პატიოსნად გეჭიროთ თავიო. ოსმალეთის მთავრობის სურვილისამებრ, საპატრიარქომ ასეთისავე დარიგებით მიჰმართა პროვინციაში მყოფ ბერძნებს.

**ნეაპოლი.** ორი ფოსტის გემი, კრეისერის თან-ძღოლით, წავიდა ჯარით კრიტისაკენ.

**სოფია.** მთავარი ველარ წავიდა კონსტანტინეპოლს ბერძენთა და ოსმალთა ომისა გამო.

**პარიჟი.** ერთს ჯავშნიანს გემს ებრძანა ფალერში წასვლა, სადაც მიდიან დიდთა სახელმწიფოთა სხვა და-სხვა გემნიც.

**კონსტანტინეპოლი.** პორტას ცნობები მოუვიდა, რომ პრევეზისათვის ამას წინად კვლავ დაუშენია ყუმბარები ოთხს სამხედრო გემს. ამ ადგილს ხმელეთიდგანაც უპირებენ თავს დაცემას სალაგურის მხრივ.

ბერძნებმა ტირნავოსსიდგან დიდის წეს-რიგით დაიწიეს უკან.

11 აპრილი

**პეტერბურგი.** 10 აპრილს მობრძანდნენ ხელმწიფე ემპერატორი, ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული და დიდი მთავრინა ოლგა ნიკოლოოზის ასული.

10 აპრილს საზღვარ-გარეთიდგან დაბრუნდა ხელმწიფა იმპერატრიცა მარია თეოდორეს ასული.

**კონსტანტინეპოლი.** ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ 5 აპრილიდგან 15 დღის განმომავლობაში საბერძნეთის ყველა გემმა ოსმალეთის ზღვები უნდა დასტოვოს. სალონიკის ყურეს შაიაკები კარიბურუნი და პანომი 5 დღის შემდეგ განათებული აღარ იქნება. ამ დღის შემდეგ სალონიკის ნავთ-სადგურში შესვლა ღამ-ღამობით ყველა გემს აღკრძალული აქვს.

**მონტევიდეო.** 10 აპრილი. უცნობმა კაცმა პრეზიდენტს დამბაჩა ესროლა, მაგრამ ვერა დაუშავა-რა. ბოროტ-მომქმედი შეპყრობილ იქმნა.

**ლონდონი.** ლარისიდგან „Times“-ს დეპეშით აცნობებენ: „ბერძნები საშველ ჯარს თხოულობენ და ეს მიუცილებელ საჭიროებად მიაჩნიათ, რადგან ოსმალთა მიერ ხშირად თავ-დასხმისა გამო ლაშქარი ძლიერ არის შევიწროებული. საშველი ჯარი დაუყოვნებლივ იქმნა გაგზავნილი“.

**ვენა.** ბელგრადიდგან იუწყებიან, რომ სერბიის ელჩმა კონტანტინეპოლში პორტას მიჰმართა და უსკიუბის მიტროპოლიტის დანიშვნის შესახებ საქმის გარდაწყვეტა მოსთხოვა. ჩერნოგორიის ელჩმა კონსტანტინეპოლში სერბიის ელჩს მხარი დაუჭირა.

**რომი.** 10 აპრილი. როდესაც მეფე მარულაზედ მიბრძანდებოდა, ქალაქიდგან ორის კილომეტრის მანძილზედ, წმ. იოანნეს ალაყაფის კარებს იქით, ვიღაც უცნობი კაცი უეცრად მივარდა ეტლს და უნდოდა მეფისთვის ხანჯალი დაეკრა, მაგრამ ბედზედ ხანჯალი კარგად ვერ მოიმარჯვა და მეფემ იგი თავიდგან აიშორა, ამის შემდეგ მეფემ მარულისაკენ გზა განაგრძო. ბოროტ-მომქმედმა ხანჯალი მაშინვე ხელიდგან გააგდო. იგი შეპყრობილ იქმნა. იმან სთქვა,—მე პიეტრო აჩჩიარიტო მქვიანო, 24 წლისა ვარ, შთამომავლობით არტენელი, ხელობით მჭედელი. სამარულე მოედანზედ მეფეს დიდის ალტაცებით მიეგებნენ.

**ლონდონი.** მელუნიდგან: 9 აპრილს, განთიადისას, სასტიკი ბრძოლა ასტყდა, ბერძნებს უნდოდათ იერიშით ოსმალთა ბანაკი აეღოთ. ბერძნებს დიდი ზიანი მოუვიდათ და უკუქცეულ იქმნენ. ბრძოლა არ შეწყვეტილა. ოსმალთ ძლიერი სათადარიგო ჯარი ჰყავთ, რომელიც გაჭირვების დროს საბრძოლველად გამოყვანილ იქმნება. გუშინ ამ ადგილას მოხდა ბრძოლა. ბრიგადის გენერალი ჯელალ-ფაშა მოკლულ იქმნა.

**პარიზი.** საბერძნეთის ელჩმა ათინიდგან დეპეშა მიიღო, რომელშიაც ნათქვამია, რომ ოსმალეთის ქვეშევრდომთაგანი არავინაც არ იქმნება საბერძნეთიდგან გაძევებული, სანამ წესიერებას არ დაარღვევსო.

**ვენა.** 10 აპრილს, საღამოს, იმპერატორი ვილჰელმი დრეზდენს წაბრძანდა. ორივე იმპერატორნი გამოთხოვების დროს რამდენჯერმე ეამბორნენ ერთმანეთს.

**რომი.** აუარებელი ხალხი კვირინალისაკენ დაიძრა მეფის პატივ-საცემად და, როცა მათი უდიდებულესობა უკან დაბრუნდა, დიდის ალტაცებით მიეგებნენ. ამის შემდეგ ხალხმა სოციალისტების გაზეთის „Avanti-ს“ რედაქციის წინ დემონსტაცია მოახდინა. რომისა და პროვინციების თეატრებში მეფის პატივსაცემად კრებები გაჰმართეს. ყველა გაზეთები ჰკიცხავენ საზიზღარს ბოროტ განზრახულებას და აღნიშნავენ იმ უშიშრობასა და გულის სიმტკიცეს, რომელიც მეფემ გამოიჩინა. სოციალისტების გაზეთი „Avauti“ ამბობს: „არც ერთს მონარქიელს არ შეეძლო ისეთი სამსახური გაეწია მონარქიისათვის, როგორიც გაუწია ეხლანდელის დანაშაულობის ჩამდენმაო“. რამდენმამე დამსწრეთაგანმა ბოროტ-მომქმედი ძირს დასცეს და მუშტის ცემა დაუწყეს. აჩჩიარიტომ განაცხადა, რომ მეფის მოკვლა შიმშილის ზედგავლენით განვიზრახეო. მტკიცდება, რომ აჩჩიარიტის თავისის სურვილით უმოქმედნია და სულიერად აღელვების დროს ჩაუდენია ეს საქციელი.

**ლონდონი.** კანეიდგან დეპეშით იუწყებიან: შიშობენ, მეამბოხეები არტილერიით თავს არ დაესხნენ კანდიას, საცა 50,000 მაჰმადიანია შეკრებილი. მეციხოვნე ჯარი მცირეა და ზარბაზნებიც არა აქვს.

**კონსტანტინეპოლი.** 12 აპრილს ჰაზი-ოსმან-ფაშა ბრძოლის ველზედ მიდის.

პეტერბურგის ბირჟა, 10 აპრილი

| | მყიდვე-ლის. | გამყიდ-ველის. | გაჭრი-ლის. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | —„ | — „ | — „ |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 210³/₄ |
| 4¹/₂% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 101³/₈ | — „ | „ — |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99³/₈ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99³/₈ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | — „ | — „ | 99¹/₄ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — | 276¹/₂ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | 243¹/₂ | — | — „ |

### წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო თავად კონსტანტინე ივანეს ძე მუხრან-ბატონს, რომელმაც კეთილ ინება და შემოსწირა ჩემდამო რწმუნებულს ს. სტეფანწმინდის სკოლას ლიფლიფა (волшебный фонарь) 36 სურათით, ღირებული 105 მან., და ბალთის სადგურის უფროსს ბ-ნ მაკარ ყვიჟინაძეს, რომელმაც შემოსწირა სკოლას 20 ცალი ქართული რვეული და სახალხო წიგნთ-საცავს 8 ცალი ჟურნალ „როდინის“ დამატებითი წიგნები *).

აგრეთვე მადლობას ვუცხადებ იმათ, რომელთაც შემწეობა აღმომიჩინეს ჩემდამო რწმუნებულს ს. სტეფანწმინდის სკოლის შეგირდებისათვის „შობის ხე“ გამემართა, სახელდობრ: სტეფანე ახალაშვილს, რომელმაც შემოსწირა 25 კ. ფულად და 1 მ. 10 კ. მოსართავი ნივთები, მღ. გიორგი სირაძეს—1მ. 25 კ., ლაზო თოფაძეს—1 მან. და 1 გირ. ხილი, იოსებ ბურდულს და იოსებ ღუდუშაურს,—თითო მან., ზარუბეგ ძაგაევს 55 კაპ., სვიმონ გიგაურს—45 კ., მღ. ა. დოლიძეს—35 კ., ნიკოლა ჩოფიკაშვილს, აბრამ ჩოფიკაშვილს – 25 კ., მინა არჩვაძეს, მიხეილ გიორგობიანს, გიორგი წიკლაურს, კუზმა ჩოფიკაშვილს, სოსიკო შადურს, ტეტიკა მარსაღოვს, გიგოლა ალიბეგაშვილს, —თითო აბაზი. ნასყიდა ქუბაშვილი, იასე და ნიკოლოზ ხეთაგურებს, დათიკო სირაძეს, ნინია ფიცხელაურს,—სამ-სამი შაური. ვანო ყარაევს და ილია ჩუფიკაშვილს—ორ-ორი შაური, ივან ივანიჩ ლისენკოს,—2 გირ. ხილი და ორი ხელსახოცი. სტეფანე ვიკტორიჩ კაპაცინს—2 გირ. ხილი; ესტატე ღუდუშაურს,—5 ხელსახოცი; ანდრია კობაიძეს 4 ხელსახოცი, იაგორ ღუდუშაურს, —3 ხელსახოცი. ან. ფიცხელაურს,—30 კ. ხილი. მოსე, ალექსი, ბიძია ალიბეგაშვილებს, ალექსი ღუდუშაურს, სუსუა ხაიკაშვილს, ნიკო ჩოფიკაშვილს—თითო გირ. ხილი.

ს. სტეფანწმინდის სკოლის მასწავლებელი
გიორგი ნათაძე.

*) ზემოხსენებულ შემოწირულების შესახებ ამ ოთხის თვის წინათ „კვალის“ რედაქციაში გავგზავნე წერილი, რომელიც აქამდის ჯერ არ დაბეჭდილა.

გ. ნ.


# განცხადებანი

მომავალის დღესასწაულებისათვის

ვყიდით **კახეთის საუკეთესო ღვინოებს** ვედრო 3 მან. 10 მანეთამდე, ბოთლი 20 კაპ. 1 მან.

ღვინოების სარდაფი იმყოფება შუაბაზრის თავში, პოლიციის მეხუთე ნაწილში, წინამძღვაროვის შენობაში. ს. ი. კურდღელოვი.

(1—99—1)

**ღვინის საწყობი**

პუშკინის ქუჩაზედ, ტფილისის მეხუთე ნაწილი, სახლი სუნდუკიანცისა № 20, სასულიერო სემინარიის პირდაპირ.

**საუკეთესო ღვინო იაფად**

ოცდა-შვიდი წელიწადია, რაც ღვინით ვვაჭრობთ.

ასლან ემილიანეს ძე თუნიევი.

(3—98—2)

სამშაბათს, 15 აპრილს,

ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია

**საზოგადო კრება**

„იმ სასწავლებლების გაჭირვებულ მასწავლებელთა დამხმარებელ საზოგადოების წევრთა, რომელნიც ქ. ტფილისის ხარჯით დაარსებულ სასწავლებლებში სწავლობენ“. საზოგადო კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს ამა საზოგადოების 1896 წლისს ანგარიში.

კრება დაიწყება დილის 11 საათზედ.

(3—6.—3)

**„ჰელისციხე“**

მომავალ დღესასწაულებისთვის **საუკეთესო კახური** ღვინოები მივიღე. ვედრო 2 მან. 40 კაპ. ვიდრე 12 მან., თუნგი 80 კაპ. ვიდრე 4 მან. და ბოთლი 16 კაპ. ვიდრე 1 მან.

სარდაფი იმყოფება პუშკინის ქუჩაზედ, ტერ-ასატუროვის შენობაში.

მიხეილ გიორგის ძე ტარასოვი

(5—93—5)


Дозволено цензурою, Тифлисъ 12 го Апрѣля 1897 г. სტამბა ძ. მარტიროსიანცისა და აქსაბაჟიანისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.